

პეტრა, 23 პრილი 1917 წ.

რედაქციის აღმაშენები:
თურქეთი, ალბანია, ჯურია, № 6.

— ვასე 15 კპ. —

პეტრა

№ 17

1917

შინაგარები. კომისარიატი—ეჭმაყი. სიზმარ-ცხადი—
როგორ. ეითაუაოთია—კუნგი. უდიდეს საიდუმლოს ფარ-
თა ესლება—მორიელი. შარალა—ქოლო. გავლენა რევოლუ-
ციისა—ს. მართ მელი. ბრძნული სიტყვები—ნიკოლოზ
შეორენ. პროტოპოლოვის დღიური—დ. ჩ. სა სამაისო—

გოგია. პატარა ფელეტინი—წაფლა. მხდალთაოფის—გ.
შიუგო. ბათუმი—ისკანდერი.
ჯარიდებული ები. ნადიმი საიქიას, რასაც დასთეს,
იმასვე მოიმეი. არი გზა.

ორი თავისუფალი ადგილი საიდიოს ნადიმე და 1905 წლის ქურნალიდან)



ერთი მათვანი. დაეიშვით ბატონებო, დრო არის..
თავმჯდომარე. ცოტა მოითმინეთ, ჯერ დრო არ არის, ჩეენ ველით ორ
პატიოლემულ სტუმარს...

პროცესუაზე

შეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მთელი საქართველო იხალ წესზე მოეწყო და „ეშვაკის მათრახი“-ს ჩედაქცია ხომ გამონაკლისს ვერ შე-შეადგენდა.

შადლობა განვებას, კრებისათვის ნებართვა აღარ არის საჭირო, გინდა შეიკრიბები, გინდა დაიშლები, გინდა არც შეიკრიბები და არც დაიშლები.

ჩვენი რედაქციის საზოგადო კრება 13 აპრილს მოხდა და ვინათან კრებაზე შესვლა უფასო იყო, აურებელი ხალხი დაესწრო. ქართველი ხალხის კულტურული განვითარება ყოველივე ეპეს გარეშე, თუ სხვში მივიღეთ კრებებზე სიხარულსა და ლაპარაკს.

სანგრძლივი კამათისა და შეჯაბ-შემოჯახების შემდეგ კრებამ აირჩია ხუთმეტი დებუტატი, რომელთანან შესდგა საბჭო, სახელშოდებით „ეშვაკის დებუტატთა საბჭო“:

დებუტატთა საბჭომ გამოაჲო „აღმასრულებელი კომიტეტი“, ხოლო კომიტეტი სარედაქციო საქმენი გაანაწილა კომისართა შორის. ეს გარემოება უნდა მიეწეროს კრების სურვილს სარედაქციო საქმეთა ჯეროვან მოწყობისას და არა იმას, თითქა საქართველოში ყველა წარჩინებული პირი უთუოდ „კომისარი“ უნდა იყოს.

შეთანხ ანუ „ედაქტორ“ კომისარად ერთ-ხმად არჩეულ იქნა ამხანაგი ეშვაკი, რომელმაც არ მიისურგა ფსევდონიმის უკუგდება დამტუქნებელი კრების მოწვევისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაშვარებამდე.

ფელეონ კომისარად არჩეულ იქნა ამ. მორიელი, დიდი ხმის უმეტესობით. მას დაევალა წერა როგორც „პატარა“, აგრეთვე „დიდ“ ფელეონებისა“.

ზარად-კომისარობა ერთხმად მიეკუთნა დახელოვნებულს ამ დარგში ამხანაგ კოლოს და თანაც დაევალა უკეთესი შერადების უქმირესი ოხევა.

პრეს-კომისარად არჩეულ იქნა ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი ამ. სახართვებელი. მას ევალება თვალყური ადვენოს უურნალ-გაზეთებს და ამოპკრიბოს იქიდან ყოველივე საეშვაკო.

ფოსტ-კომისარობა კრებამ მიანდო ამ. კ—ის.

აღნიშნული კომისარი გალდებულია დაუყოვნებლივ პასუხი გასცეს პარტიის წევრებს და მიუთითოს მათ საგოდოება ნაწარმოებთა ამა თუ იმ ტაქტბრე.

მუზ-კომისარობა დროებით მიიღო თავის თავზე ამ. ეშვაკი. ამგარი ინციდენტი პეტრო-გრადშიაც მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ ა. ი. გურებული ასრულებს თანამდებობას ზღვათა და სამხედრო მინისტრისა. მუზ-კომისარს ევალება შეკვეცის ქ-ნი მუზის პარტაში საქართველოს ტერიტორიაზე. ვიჩარი განვმარტო, რომ „შეკვეცა პარტიშისა“ სრულიადაც არ ნიშნავს ვისიმე თავისუფლების შებოლვებს, არამედ მას მხოლოდ ნება არ ექნება იპარაპაშის თავის ნებაზე.

შტაბ-კომისარობა ერთხმათ ეტოდა ამ. ისტორიკოსს. მის მოვალეობას შეადგენს მიმოხილვა საგარეო და საშინაო მიმისა, ხოლო მიმოხილვას მისას გადასათვალიერებლათ ენიშნება ცენზორ-კომისარი ი. გე—გა—ლი.

სცენ-კომისარიათ არჩეულ იქმნენ ამ. გოგია და ლ. ობილო. მათ უკვე იციან თავისი მოვალეობა, რასაც პირნათლად ასრულებენ.

იგავ-კომისარობაზე სასურველი კანდიდატი არ აღმოჩნდა. ძველიათ ცნობილი იგავ-მწერლები ა. ბლიკვაძე და ონისიშვილი ქარგა ხანია უგზო-უკვლოთ დაიკარგნენ. აღმასრულებელ კომიტეტს დაუკალა ყოველი ღონისძიების მიიღოს მათ აღმოსაჩენათ, ხოლო ვიდრე ეს არ შომხდარა იგავ-კომისარის ტახტი თავისუფლი დარჩეს.

სანგრძლივი კამათი გამოიწვია აგრეთვე მესტიონ-კომისარის არჩევამ. მთელი კრება ერთხმად ითხოვდა ამ თანამდებობაზე ამ. ბლიკვაძის დაფუძნებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ის ჯერ-ჯერიბით ვერ აღმოგვიჩენია.

გამოითქვა აზრი ამგარი განაწილებისა: ონისიმე—იგავ-კომისარი, ხოლო ბლიკვაძე შესტრივი-კომისარი, მაგრამ ამ. მორიელის შენიშვნისა არ იყოს ეს წაგას „უაში წეროს ხილვას და ძირს შამურის“ თლას“.

თარგმან-კომისარის ადგილზე ერთხმად არჩეულ იქნა დ. ჩ—ლი. მას ევალება საგარეო პოლიტიკა, ანუ უცხო ერთა თვალყურის დევნება და მათ ნაწარმოებთა ქართულ ქმნა.

არჩეულ იქმნენ აგრეთვე კომისარები: კორექ-

ტურისა, კარიკატურისა, სტამბისა, ცინკოგრაფიისა
და სხ. და სხ. და სხვათა.

ქრება დასრულდა ნაშააღამევის პირველ სა-
ათზე.*)

ამანავებო! გამოიუსადეთ ნდობა აასალ მთავ-
რობას! მოითხოვთ კარგი ფელეტონები! იბრძო-
ლეთ კარგი კარიკატურებისათვის. მხარი დაუჭირეთ
კარგ შარადებს!

გაუმარჯოს „ეშმაკის მათრახს!“

ეშმაკი.

სიზმარ-ცხადი

სიზმარი ენახე, თვის წინად,
ხევში წყვდიადი ქრებოდა,
შის ოქროს ფერი სხივები,—
ქვეყნის მექრდს ექარგებოდა;—
დამფრთხალი დამის სულები,
ორწოხში იკარგებოდა.
მახვილი ნემზიდისა,
მეზის კვერთხსაგით ელავდა.—
მუშა და ჯარი ქუჩაში,
მრისხანე ტალღათ ღელავდა.
ამათა ძლევის ყიუინა,
კიდით კიდემილ წვდებოდა,
ორთავიანი არწივი,
ფეხზე ველარა დგებოდა.
გამცემ გამჟილველ მინისტრებს,
ციხეში ერეკბოდნენ,
ჯაშუშები და ჯანდრები
მათ უკან გამოყვებოდნენ.
„მოღვაწე“ პროვოკატორებს
გულს შიში ეპარებოდათ;
(ვერ გაპირიან მოძმეებ,

*) ფოთის ქალაქის კოშისრად
არჩეულ იქნა ბუტუნა...
(თუმცა მნ საჭარხეთს
ბოლო დროს ცოტა უმტკუნა.)
აგრეთვე ქუთაისისთვის
გვევს კოშისრად ხუნაგი
(თუმც ბოლო სანად იმანაც
სხვა აირჩია ბუნაგი.)

ამაზე გული წყდებოდათ.)
ხმა მართლის სამართალისა,
როგორც ყუმბარა სკედებოდა:—
თავისუფოლების უინდილი
ყველის გულთ ეკიდებოდა.—
მეფე და მისი მეუღლე
რაპუტინს ეველრებოდა:
„ისხენ წმინდაო, რუსეთი!“
ეს ლოცვა ბაგეთ ხთებოდა.
წითელთა თროშათ ფრიალი
ლაქვარდ ცის გულსა სწვდებოდა
ხალხი მას „მარსელიოზის“
სიმღერით ეგბებოდა.
დღეს გამოვჭხაზლდი და ვხედავ
სინამდვილეა ყოველი;
და აწ ერთობის შემყურე,
ყოველ სიკეთეს მოველი...
როკოკო.

„ეპოქაუი აოოის“

„ეშმაკის მათრახის“, რედაქტორ.— კომისარ ბ-ნ
ეშმაკი.

მოქალაქე ეშმაკი უმორჩილესად გთხოვ (და
არ მოვითხოვ, როგორც დროს შეეფერება). თქვე-
ნი პატივცემული უურნიალის უკანასკნელ გვერდზე
მცირე (თუ ბევრი არ დასკირდა) ადგილი (მიწა
არ იგულისხმოთ, ქალალზე გთხოვ, წინააღმდეგი
ვარ როგორც მიწის დატაცების, ისე სოციალიზა-
ციის) დაუთმო ამასთანავე წარმოვლინებულ გამო-
ცანას, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღაწის
და ლიდებული მოქალაქის განსვენებული სოლო-
მონ ზურგიერიდის დაუგეპდავ ხელთნაწერებში
აღმოვაჩინე. სოლომონის სახელის გაონებაზე შენ
განციფრდები და იკითხავ: რატომ უკანასკნელ
გვერდზე თხოვულობ ადგილს, როდესაც პირველსაც
სიმღერებით დაგითმობდიო? ვიცი, ეშმაკი, რომ
დიდ პატივსა სცემ სოლომონის ხსოვნას, მაგრამ
მე მაინცა გთხოვ უკანასკნელ გვერდზე მოათვა-
სოთ გამოცანა. აი რატომ: ჯერ ერთი, თვით
უკვდავ სოლომონს აქვს ერთ ადგილს ნათქვამი:
„გამოცანების ადგილი
უკანასკნელი გვერდია!“

რაღანაც მისი დაბეჭდვა
უკეთესია ბოლოში”.

უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია ქურნალის გვერდი და არა ის, რომლისაგანაც ევა წარმოიშვა. მეორეც ისა, რომ გამოცანებს სოლომონის მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებთა შორის სამართლიანათ უკავია უკანასკნელი ადგილი. და, მესამეც ისა, რომ ასეთი ადათი არსებობდა ძველია ჩვენს შურნალებში აი თვით გამოცანაც:

„საამდროვო გამოცანა“ *)

ე ი ო ი ა უ ი, ა ო ი ა
ი ო ი ა უ ი ა თ ი ა
ო ი ა უ ი ა თ ი ა
ი ა უ ი ა თ ი ა
ა უ ი ა თ ი ა
უ ი ა თ ი ა
, ა თ ი ა
ა თ ი ა
თ ი ა
ო ი ა
ი ა
ა

გამოცანას ბოლოში სოლომონისავე ხელით მიწერილი აქვს:

„ვინც ამ გამოცანას ვერ ახსნის,
უცილებლათ ბრიყვია
ჰკურნის, თუ კი ჰკუა აქვს,
ახსნა არ გაუჭირდება.

უნდა გამოგიტყდე, ბ. ეშმაკო, რომ ამ გამოცანის აღმოჩენის შემდგე სამი ლლე და ლაქ ძილი და მოსვენება არ მიპარებია ჩემს თვალებს. ყველაფერი დამავიწუდა ქვეყანაზე: რევოლუციაც, რეაქციაც, პროვოკაციაც და ყოველგვარი კომისიაც. საში დღე და ღამე ბრიყვისა და სულელის სახელს ვატარებდი უკედავი სოლომონის განაჩენით. მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოვედი. გამოცანა აქსენი.

ახლა მსურს ეს შესანიშნავი გამოცანა „ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდოს. მხოლოდ აქვთ უნდა

დაუტოთო ზოგიერთი განმარტება, რომ ცოტათი მაინც გაუადვილდეს მკითხველს გამოცანის ახსნა.

პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას მივაპყრობ გამოცანის აგებულებას. ის ლექსითაა გამოთქმული, ლექსი არც ერთი თანხლოვანი ასო არ ურევია. ლექსი გეომეტრიულ ფიგურას—სამ კუთხედს წარმოადგენს*). ყველა ეს ასეთი თვისებებია, რომლებიც მხოლოდ ზურგიელიძის პოეზიის ღმისხსიათობლათ უნდა ჩაითვალოს. არსად ამისი მსგავსი რამ სხვა ჩევნის გამოჩენილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ძველათ არ შეგვხვდერია. მევ ვკისრულობ გაბედულებას და ვამტკაცებ, რომ ზურგიელიდე ყველა ჩევნის პოეტებზე მაღლა დგას ამ მხრივ და პირველი ადგილი უკავია მათ შორის. არც ერთს ჩევნის პოეტს მარტო ხმოვანი ასოებით აწყობილი ლექსი არ გამოუტვამს. ეს კი სოლომონს ლექსის კეთილ ხმოვანებისათვის აქვს შემოღებული.

გარდა ამისა, თუ ლექსი მარჯვენა კუთხიდან ქვემოდან ზევით თვალს შევლებთ, თქვენს განცვიფრებას საზღვარი არ ექნება. წარმოიდგინეთ მთელი ლექსის უკანასკნელი მარცვალი არის ყოველ სტრიქნი „ია“, ესე იგი იმ ყვავილის სახელი, რომელიც თვისი სინაზით და კეთილსურნელებით ასე მძლავრათ გვხიბლავს და გვათრობს, და რომელიც ყველა ყვავილთა შორის უკეთილებმოვანესია თვისი სახელწოდებით. ეს კიდევ ცოტაა. გამჟევით ისევ ლექსის აგებულებას მარჯვნიდან ჰარცნივ**) და თქვენ კიდევ მეტ განაცალიფრებელ სურათს ნახავთ. მთელ ლექსის საფეხურებივით ერთი და იგივე ასო მისდევს ძირიდან წვერომდე. მხოლოდ ზეადამიანის გონებას შეეძლო ასულიყო პოეზიის ასეთი უმწვერვალესი განვითარების საფეხურამდე. ასეთიც არის ჩევნი უკვდავი გენისი სოლომონი. ახლა ჩააკირდით ლექსის თვითოულ პწერს, და დასტურებით მისი შეუდარებელი მუსიკა პოლური ეშით!

*) სოლომონის დროს მროვლდ აგურისებური ფორმის ლექსები იწერებოდა. კუდ მოვიწოდებული, სიკუთხედი ლექსების წერა სოლომონის მიმბაცელებით დაწყეს ჩევნში ამ ჰკანასკნელ დროს.

**) ამ მიღწეულებიდანაც (მარჯვნიდან მარცხნით!) ბევრი საგულისხმიურო დასკვას შეიძლება გამოვიყნოთ, შესაბამის წერის შეფარვის შეფარვისათვის.

— თუმცა გამოცანა წარსულ საუკუნეში არის დაწერილი. მაგრამ აღმაცნაც დროული ყოფილი.

ბევრი რამ საიდუმლოება მარხია აღმათ ამ ლექსის წყობილებიაში, მაგრამ ეს თქვენთვის მომინდვია, ბ. ეშმაკო, გამოსაშეარავებლათ. მე-ეკი ამ აუცილებელი გძელი წინასიტყვაობის შემდევ ისევ გამოცანის დედა აზრს მივაჭურ მკითხევლის უზრადდებას.

როდესაც ორი დღე განვლე გონების საშინელ მუშაობასა და ოფლის ღვრაში, ის იყო, სასოწარკვეთილს მსურდა სოლომონის განაჩენისათვის საკუთარი ხელი მომეწერა და ჩემი თავი ბრიყვათ მელიარებია, რომ უკურათ ერთმა აზრმა გამიელვა თავში. აკროსტიხის ფორმაში ხომ არ არის ლექსი ჩამოსხმული მეტყი? მინედილი თვალები ისევ ლექსს დავაჭური და სიხარულით კინალმ ცას მიესწვდი ჩემი მოყვანილობის პატრონი***) მთელი პირველი სტრიქონი თავისი აგებულობით და შემადგენლობით სახესბით განმეორება პირველი მარცხნა სვეტის თავიდან დაყოლებული და ის წაიკითხება:

მიორიაში აოოია.

სტრიქონის გასაყოფი ნიშანიც ე. ი. მძიმე სოლომონს აქვს თავისი ხელით დასმული და ახსნაში უწერია: „ორი სიტყვა არისო“ ეს საკარისი არ იყო კიდევ. გმოცანა მაინც გამოუცნობელი იყო. უკანასკნელი მესამე დღე მხოლოდ ამ ორი სიტყვის ამოხსნას შევალიე ჩემი ძალა-ლონე. ბევრი ვიზრები თავი, ბევრი ვითავცემე. ბოლოს შეშლილს დავემსგავსე. ამ ორი „უაზრო“ სიტყვის გარდა ჩემს თავში აღარავერი აზრი აღარ მოიპოვებოდა. საშინლათ დამებაფრა ნერვები. დავიწყე როახის კუთხიდან კუთხემდე სიარული და მხოლოდ ერთსა და იმავეს ვომერებდლი: ჰითიაუ აოოია. ჯერ ნელა და მერე და მერე ხმ მაღლა. დაუსრულებელი არაფერი არ არის. ბოლოს ჩემს ტანჯვასაც მოედო ბოლო. გამოცანა აეხსენი. საკირო დარჩა მხოლოდ შიგა და შიგ თანხმოვანი ასოების ჩასა და გამოცანაც დამიარცხებული გაიშოლტა ჩემს წინაშე. უნდა გამოვიდონ ჩემი ფსევდონიმი, ხოლო „მეტავა-ძებისაგან“ ჩემი პირვენება და ტანის მოხაზულობა, ვინაიდან ქალაქის მილიციას ჩემთვის არ სკალია.

*) მკითხევლს რომ გაუადვილდეს წარმოდგენა, ჩემს მოყვანილობას თვალსაჩინოთ ასე გამოვსახავ: ღია ავტომობილში როცა გზივარ, მარტო ფურების შევით მოესანვარ.

,,ბრიყვის“ სახელწოდება. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. მზათ ვიყავი სოლომონ ზურგიელი დეგულში ჩამეკრა და ჩამეკოცნა.


ახლო თქვენ სცადეთ პატიცცემულო მკითხველნო, თქვენი კუკუს ქალა და დაუმტკიცეთ უკვადაგ სოლომონს, რომ ჩენში ბევრი მოიპოვა ისეთი პირები რომლებიც მის ბრძნულ გამოცანას ახსნან და ბრიყვთა წრეში არ მოისურვებენ დასკუპებას. თუ ვინცობაა გამოცანა ვერაფინ ახსნარაც არა მჯერა. ახეთები ცოტა მეგულება არა თუ თავისუფალ საქართველოში, არამედ ბრძკალებიან „საქართველოშიაც“, მაშინ შეიძელებული ვიქენები თვითონ აგიხსნათ ის და გამოგიყვანოთ უხერხული მდგომარეობიდან, რომელშიდაც ჩემდა უნებურათ ერთი კვირით დარჩებით მხოლოთ.

ვაფროთხილებ ბ. პ. ექიმებს, სუცებს და აზნაურებს თავს ნუ შეიწუხებენ ტყვილათ. ზურგიელიძის მაგიერ ბოლოშს ვიხდი მათ წინაშე, რომ ასეთ უსიმზენობას ვაყენებ, მაგრამ მე აქ ერთად ერთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობ: მე არ მინდა, რომ უბრალოთ დაიკარგოს ამდენ შუშეკა შრომა, როდესაც ის ასე საჭიროა შემოსული გარეშე მტრისა და შინაგანი რეაქციისაგან სამშობლოს დასაცავათ.

ჩემს გვარსა და მისამართს არ ვაკადებ, რადგან მეშინია ძალმომტკების მსხვერპლი არ შევიქნე. როდესაც გამოცანას ახსნი და კველას გეცოდინებათ მისი მნიშვნელობა, მაშინ მეც ჩამოვიხდი ნიღლაბს და ნამდვილი გვარით წარმოსდგები თქვენს წინაშე. მანამდე-კი ესთხოვ „ეშმაკის მათრახის“ კამისარს ბ. ეშმაკს საიდუმლოთ დაიცვას ცნობის მოყვარეთაგან ჩემი ფსევდონიმი, ხოლო „მეტავა-ძებისაგან“ ჩემი პირვენება და ტანის მოხაზულობა, ვინაიდან ქალაქის მილიციას ჩემთვის არ სკალია.

გამოცანის ახსნა მსურველს შეუძლია გამოავზავნოს „ეშმაკის მათრახის“. რედაქციაში.

კენჭი.



უდიდეს საიდუმლოს ფარდა ეცდება.

თქვენ უკვე ჩაკითხული გექნებათ ზემორე ამი-
სა მოთაცსებული სისტორიო გამოცანა სილომონ
ზურგიელიძის, რომელიც შემთხვევით აღმოუჩენია
ჩვენს ნიჭიერ თანამშრომელს ამხ. კენჭ. ჩვეულე-
ბრივის თავმდაბლობით გვთხოვს ამხ. კენჭი მის წე-
რილს ჟურნალის უკანასკნელი გვერდი დავუთმოთ,
მაგრამ ეს ჩვენს ძალ-ღონეს აღმატება. თუნდაც
ძვირფასი სოლომონი იმ აზრისა ყოფილიყო „გა-
მოცანების“ შესახებ, როგორი აზრიც მის ტაქშია
გამოთქმული, ჩვენ მაინც წინააღმდეგ წავიდოდით.
ნეტარ ხსნებულმა აკაკიმ ანდრეძი დასტოვა საჩხე-
რეში დაეკრიბლათ ნეშტრი მისი, მაგრამ მადლიერმა
სამშობლომ ის მთაწმინდაში აასვენა და მიიღიწყა.

ასეთ ჩვენი საქმეც. სოლომონის ყოველი სი-
ტყვა, ეგ ხალხის სიტყვაა და ჩვენ არ შეგვიძლია
ის შეთექვსეტე გვერდზე გადავისახლოთ.

ესეც არ იყოს, ჩვენს წინაშე სასწაული ხდე-
ბა! მეტსაც ვიტყვით, ჩვენს წინაშე ნამდვილი სას-
წაული ხდება! ფარდა ეხდება ერთ უდიდეს საყითხს,
ერთ უდიდეს საიდუმლოს ჩვენი წარსულისა.

ნუ ვიქნებით სულმოკლენი! დაე, ყოველი
ქართველი თავისი საკუთარი ძალონით მივიღეს იმ
დასკნამდე, საღაც მივყევართ უკვდავი სოლომონის
გენიას. „სამდროო გამოწენა“ გასაღებია იმ ცხრა-
კლიტულისა, რომელშიაც რეაქციამ ვერაგულათ
ჩაჰეტა ჩვენი უკვდავი მგოსნის მსოფლ-მხედველობა.

გასაღები ხელთა გაქვთ, სტადეთ განთავისუფ-
ლება მზეთ უნახავისა.

მორიელი.



შ ე ს ტ ა დ ე ბ

აი, შეხედეთ ამ ცხოველს
რა უშნო სახის ჯიშია!
შეძრება თავის ჯავშანში
მტრის აღარა აქვს შიშია.

დადის სისწრაფით, ვითარცა
კახეთის რკინის ცხენია.

(არა თუ დევნა იმისი,
ყურებაც მოსაწყენია).

ორი ასო აქვს სახელად.
ხმოვანი, თანხმოვანითა.

გაისწიროთ. ბოლო მათგანი,
კმაყოფილ გავხდეთ ამითა.

აშ მოიგონეთ ამბავი,
(თუ მოგონება სჭირია)

რათც ევროპის მიწაწყალს
მოედო, როგორც ჭირია.

გაანადგურა კულტურა,
მუსრი გააელო ხალხებსა.
(მისი ბრალია თუ ხედავთ
სამგლოვიარო თალხებსა).

ბოლო არ უჩანს, თუმცადა
ყველა ესწრაფვის იმასა,
თუ როდის გაათავებენ
ცრემლთა და სისხლის წვიმასა.

სრულად გვჭირია სახელი
ეგ მოსასპობი ჭირისა,
ვისგანაც მთელი ქვეყნა
დღეს ცხარე ცრემლით სტირისა.

მესამე სიტყვა, რომელიც
წინ გვიღას საძებარათა
იმერეთისკენ იციან
ღობეთა დასამყარათა.

წაბლისა არის ნაქები,
მუხაც არ დაიწუნების
სიმაგრე მართებს, რამეთუ
ზედ წენელი გაიღუნების.

ავიღოთ სიტყვა უკლებლივ,
შეგ მეტი არაფერია

და თუ იპოვეთ ყოველი
შარადაც შენაჟერია.

სელობა არის ახალი,
სელობა განახშირია,
ისე მოედო ქვეყანას
ვით გადამდები ჭირია.
მოგვტაცა თანამშრომლები
უურანლისტ-დრამატურგია,
დაუფრთხო მგოსნებს მუზები,
გაპარა ჩვენთვის ურგია.
წაგართვა კორესპონდენტი
სოფლებში განაწესია,
რას ვიზამთ, ყოვლის მიზეზი
ახალი ადათ-წესია.

კოლო.

ბრძნული სიტყვები

(ნიკოლოზ მეორისა)

(დასასრული)

10 ივლის სადილზე მეფემ სთქვა:

„ესვამ სადლეგრძელოს მათი უმაღლესობის
ბუღარეთის თავადისა და მისი მეუღლისას,
აგრეთვე ჩემი ნათლულის ბორისისას და ვუსურვებ
ბუღარეთს აყვაებას“. (მთ. მ. 1898 წ. № 150).

რუმინიის მეფის წეველის გამო გამართულ სა-
დილზე მეფემ სთქვა:

„გმადლობ, თქვენო უდიდებულესობავ, ნახ-
ვისთვის. ვიღებ ჭიქას და ესვამ სადლეგრძე-
ლოს თქვენი უდიდებულესობისას და მთელი
თქვენი ოჯახობისას“. (მთ. მ. 1898 წ. № 156).

16 იგვასტოს საოლქო მამასახლისთა, გიორ-
გის კავალერთა და სოფლების წარმომადგენელთა
სადილზე მეფემ სთქვა:

„მე ბეჭინები ვარ თქვენი ხელახლა ხილვით.
გმადლობ სამსახურისათვის, განსაკუთრებით
გიორგის კავალერებს. ესვამ, ძმებო, თქვენს
სადლეგრძელოს“. (მთ. მ. 1898 წ. № 182).

სევასტოპოლის დათვალიერების დროს მეფემ
შეზღუდურებს მიმართა:

„მე მუდამ მიხაროდა სევასტოპოლში ყოფნა.

ბეჭინები ვართ მე და დედოფალი თქვენს
შორის ყოფნით. გმადლობთ, ბატონებო, გუ-
ლითადი მიღებისათვის და ესვამ შავი ზღვის
ფლოტის სადლეგრძელოს“. (მთ. მ. 1898 წ. № 186).

15 მაისს 1900 წ. კრონიცნდში მეფემ კრე-
ისერ „აზოვის სსოფნის“ მეზღვაურებს მიშართა:
„ესვამ სადლეგრძელოს ჩემი ძირითასი მეზ-
ღვაურებისას“. (მთ. მ. 1900 წ. № 112).

5 ივლისს 1900 წ. სპარსეთის შიხის წვევის
გამო მეფემ სთქვა:

„მისი უდიდებულესობის შაბ მუზაფერ ედინის
და სპარსეთის სადლეგრძელო იყოს“. (მთ.
მ. 1900 წ. № 153).

18 დეკემბერს ლივდიაში მეფემ სთქვა:
„მე ესვამ სადლეგრძელოს სახელოდან
მსროლებლთა მეოთხე ბრიგადისა“. სტოკორის
რამდენიმე სიტყვებს, რომელიც
ანაც აქტივისტის მექანიზმების ელემენტების
ცოლვის მეორებისას“. (მთ. მ. 1901 წ. № 76).

30 მარტს 1904 წ. მეფემ სთქვა:
„ბატონების დედოფლისა და ჩემი სახელით
ესვამ სადლეგრძელოს ცენტრისანთა ლეიბგვარ-
დიის პოლკის მეორებისას“. (მთ. მ. 1901 წ.
№ 76).

8 მაისს მეფემ მოსაკვის თავადაზნაურთაგან
პურმარილი მიიღო და შემდგე სთქვა:

„გულითადი მაღლიერებელი იმ გრძნობებისთვის,
რომელიც ჩემდამი გამოსთქვა მოსკოვის თა-
ვადაზნაურობამ. გადაფიც თავადაზნაურობას
ჩემი წრფელი მაღლობა“. (მთ. მ. 1904 № 108).

17 სექტემბერს ხერსონის გუბ. აზნაურთა ში-
სალმებაზე მეფემ სთქვა:


„გმადლობთ პურმარილისათვის. გადაეცით თა-
ვადაზნაურობას ჩემი მაღლობა“- (მთ. მომბ. 1904 წ. № 213).

ხერსონის გლეხთა დეპუტაციის უთხრა:
„გმადლობთ და იმედს გამოესთქვამ, რომ სოფ-
ლის საზოგადოებანი იზრუნებენ ჯარის კაცთა
ოჯახების დახმარებისათვის“.

15 ივლის დედოფლიდან მოსული დეპუტის სა-
პასუხოთ მეფემ დასწერა:

„რუსეთის ხალხს შეუძლია მენდოს შე. არა-


რ ე ს ე ც ღ ა ს თ ი ს ა ვ,



გუშინ გარედან

ბიუროკრატ მთავრობაშე. ეს ციხე ჩინებული გამოვა. ფან-კრები ისეთი ვიწრო აქტის, რომ ვეონებ მხის სხივიც ვერ გაძვრება. კედლებს ვერ გაანძრევს ვერც ზარბაზანის უმბარა და სივრცითაც მოელ ქალაქს დაიტევს.

ဝအား ဆုံး ပေး ခဲ့



လွှား ဖို့ကိုယ်

ဝို့ကျော် မတာနောတာပေး။ ဒုံး၊ စား မျှကောင်း ဖွံ့ဖြိုး၊ တော်းမျှ
ဘုရား မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း
ဘုရား၊ ဘုရား မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း...
ဘုရား၊ ဘုရား မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း မျှကောင်း...

სოდეს არ შევერავ დიდი რუსეთისათვის სამარცხინო ზავს“. (მთ. გ. 1915 წ. № 154).

23 იგვისტოს ლიბავაში კურლიანდის თავად-აზნაურთა დეპუტატის უთხრა:

„მადლობას გწირავთ, ბატონებო, პატივით მიღებისათვის. მე ვსვამ კურლიანდის თავად-აზნაურობის სადლეგრძელოს“.

21 ნოემბერს სემიონოვის პოლკის დღესასწაულზე მეფემ სთქვა:

„თქვენი სადლეგრძელო იყოს, მებო, ლეიბ-გვარიის სემენოვის პოლქს ვესურვებ აყვავებას“. (მთ. გ. 1905 წ. № 252).

იმავე დღეს საუზის დროს მეფემ სთქვა:

„მე ვსვამ თქვენ სადლეგრძელოს, ბატონებო, და გისურვებთ ისეთსავე შეიძრ ოჯახურო კავშირს, როგორიც ახლა გაქვსთ“. (მთ. გ. 1905 წ. № 252).

ამგვარათ: 1895 წ. მეფეს წარმოუთქვამს 5 სიტყვა, 1985 წ.—2, 1896 წ.—14 (აქედან 10 იწყება „სმით“), 1897 წ.—13 (აქედან 10 „ვსვამ“), 1898 წ.—10 (ყველა „ვსვამ“), 1899 წ.—2 („ვსვამ“ „ვსვამ“), 1900 წ.—8 (6 „ვსვამ“), 1904 წ.—4 „ვსვამ“ და ასე აღსასრულამდე ნიკოლოზის მეფობისა.

გავლენა რევოლუციისა.

არავისთვის საეჭვო არ არის, რომ რევოლუცია მარტო ნერევით არ კმაყოფილდება, იგი კი-დევაც ჰქმნის.

საბუთი გნებავთ?

აი საბუთი. მან, რევოლუციამ, მართლია ფრთხი მოსტება მეოსან ი. გრიშაშვილს, მაგრამ სამაგიეროთ შექმნა იასე რაჭელი.

ახალგაზრდა მგოსანმა, იასე რაჭელმა, ორი საუცხოვა ლექსი მოათავსა „თეატრი და ცხოვრება“—ს მე-15 ნოემბრში. პირველი ლექსი „ა-შ-მ-რ-ე-ბ-უ-ლ-ს“, ძღვნათ ეგზავნება ჯაშუშებს და იწყება ამგვარი სმენის მომაჯალებელი ტაეპით:

„საზიზღარნო! კუპი თქვენი
ნუ თუ ისე აღიზინდა,

რომ კაცური შემეცნება
შეგ გველივით ასისინდა?“

უკვე ამ ორ შარგალიტ რითმში: „აღიზინდა, ასისინდა“, იშკარათ სხანს ახალგაზრდა მგოსნის უტყუარი ნიჭი, მაგრამ „თეატრი და ცხოვრება“—ს იმავე ნოემბრში მოთავსებულია მეორე, უფრო ვრცელი ნაწარმოები იასე რაჭელისა „დიდება შენდა“, რომელიც ეძღვნების დეპუტატ კარლო ჩხეიძეს.

და ია, სწორეთ ეს მეორე ლექსი მგოსნისა გვაძლევს ახალ საბუთს, დავინახოთ მასში ახალი ძალა პოეზიის განსასხვეტაკებლათ რევოლუციის მიერ ნაციონალისტურ ჯურლმულიდან მოვლენილი.

დასატრუკიცებლათ ზემორე აღნიშნულისა მოყიდვანოთ რამდენიმე თვალსაჩინო საბუთი:

„და მეუკე „მარტი“, ცუდლუტი, ზანტი,
აყროყინა, როგორც დიდურა,
უხეში, ურა“. .

უკველივე ეტეს გარეშე, რომ სიტყვა „მარტი“ ნახსენებია აქ ცვალებადობის აღსანიშნავთ და გასაოცარის სისწარით არის ნახმარი, ვინაიდან ყოფილი მეფე მართლაც მთელ თავის სიცოცხლეში ერთ გარკვეულ რეაქციონურ გზას ედგა და თავისი სურვილით არავის არაფარს დაპირებია. მაგრამ, რამდენათაც ეს შეხედულება სწორია მეფეზე, იმდენათ შემცდარია შეხედულება კარლო ჩხეიძეზე, თითქო მან „აყროყინა მეფე ვითარცა დიდურა“. თუ მართლაც აყროყინა ვინმე კარლო ჩხეიძის მოქმედებამ, პირველ ყოვლისა თვით აეტორი ზე-მო აღნიშნული ლექსისა.

ქვევით მგოსანი იასე რაჭელი უფრო ააშეარვებს თავისს ცხოველმყოფელ ნიჭს. იგი სწერს:

„დელოფალს ხელში მისუა ტარიგი,
ვიზუბოვისას ის თადარიგი...
რაც კურთხევითა რასპუტინითა
და მის წამყენთა წალკოტ-მტილითა,
„შიშტრ-კიტინითა“.

ამ კუპლეტის სიდიადეს ყველა ქართველი ჩინებულით გაიგებს, მაგრამ ია გამოცანა:

„მეფეს მინისტრებს, ნაცად „ვარისტებს“
ბედისა წერას რაც უგვირიშტებს“. .

მართლაც გასაოცარია, როგორ დაუახლოედა ასე ახალგაზრდა მგოლანი ამ უწყინარსა და მშრო-
მელ ცხოველს. აშეარაა, რომ ის ქართულ პოე-
ზიაში დამსახურებულ „ვირისტის“ სახელს დაიმსა-
ხურებს და სამართლიანიც იქნება მისდამი ასეთი
ყურადღება. მართალია ისიც, რომ მგოლანი მთელ
თავის მგოლნურ ნიჭეს შემოქმედებისას მარტო ვი-
რებზე არ ძმიარებს, რასაც აშეარათ მოწმობს პა-
ტარა სტრიქონი:

„ვაცად ვაცადებს, ბოტებს ნაცადებს“.

მაგრამ „ვაცები“ უთუოდ მეორე ხარისხოდან
როლს ითამაშებენ ისე რაჭველის შემოქმედება-
ში, პირველი აღგილი იქ ვირს ექნება, ეს უმევე-
ლია.

საკვირველია, თუ სად იმალებოდა ამდენ ხანს
ასეთი ძლიერი ნიჭი! ნუ თუ საჭირო იყო უდიდე-
სი რევოლუცია, რომ „თვატრი და ცხოვრებას“
კაბადონზე აღმოცურებულიყო კიდევ ერთი ასეთი
შემოსანი!

ქეშმარიტათ, ვისაცა აქვდენ, მიეცეს და მიე-
მატოს!

სამართებელი.

პრეცედენცის დღიური.

დღეს დუმაში ვიყავი. იქ სთქვეს, ვითომ მე
სულელი ვიყო. ალბათ თვალ ყურს მაღევნები:
ჯველაფერი სცოდნიათ.

ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდათ ყველას,
რომ მე თანამდებობიდან გადავდგე? უნდა შევეცა-
დო საზოგადოებრივი აზრის გადმობირებას, შევეც-
დები პასუხის გებაში მიისცე დეპუტატი კერძოსკი
და დუმაში ჯანდრის მუნდირით მიიღო. ამბობენ
ის მე ძალიან მიხდება.

ვიყავი მეფის სასახლეში. ძალიან საყვარელი
ხალხია. მხოლოდ მეკარები უნდა ვავაფრთხილო,
რომ დღიდან „შენობით“ არ მომართონ.

(მიწერილია ლურჯი ფანქარით: მეკა-
რებს გადავეცი გაფრთხილება. სიცილი და-
მაყარებს).

ქალაქში არეულობა დაიწყო. ამბობენ, ვითომ
შეგი პური არ იშოვებით. საკვირველია. მე თუ და
ათი დაშაშეული ლორი მაჭეს გადამილული და ერთი
ლუკმა პურიც-კი არ შემინახავს. შერე მე რათ არ
ვყირი? ღუმაში იღტაცებით შემხვდნ:

— რა განსაციფრებელი არამადაო, იძახდენ
დეპუტატები ცენტრიდან.

მემარჯვენე დეპუტატებმა იჭირეს ეს, მაგრამ
რო შეიტყვეს ეს სიტყვები მე ექვებოდა დამშეიღ-
დენ. ისინი ყოველთვის დამიჭერენ შარს.

არეულობაშ საშიშარი ხსნითი მიიღო. მე შე-
მექითხენ: რას ფიქრობს ამის შესახებ მინისტრებთა
საბჭოო? მე მინისტრებთა საბჭონ ჩაგირ თვითონ
გავეცი მოკლე პასუხი:

— დახერიტო ყველანი!

ძალიან გახხარდათ. მიჩვეული არიან ამ სა-
უალებას. შევიმუშავეთ სროლის გეგმა. ძალიან
მხიარულათ გავატარე დღე.

განსაციფრებელი სისწორით ესერიან პო-
ლიციელები. მეც-კი შექვება ხელები. მინდა
ავიდე სახურავზე და ტყვიის მფრქვეველი ავამუშა-
ვო. ავიდე სახურავზე და გადავეცი:

— გმადლობ, ამხანავი ტყვიის მფრქვეველი!

ტყვიის მფრქვეველმა მოხდენილათ მომიგო:

— ვეცებით თქვენო იღმატებულებავ!

საბარგო ავტომობილებით მოშადგენ უცნობი
პირები. მეგონა სანოვაფე მომართვეს მეთქი. თურმე
ჩემთან მოვიდენ. ვერ გამიგია რა სურთ. სამადლო-
ბელი აღრესის მორთმევა, თუ ჩემი ჩიმოხჩიბა. ახ-
ლა იმისთანა დრო დადგა, რომ კაცი ადვილათ
ვეღარაფერს ვერ გაიგებს.

ძალიან კარგი მოგონებაა უკანა კარები. გავ-
ძვრი და ცარსკო სელიში აშოგავი თავი.

წავედი დუმაში. ძალიან ჰატიფით მიმიღეს.

— აპა, ეს თქვენა, ბრძანდებით პროტოპოპოვი?

— დია მე გახლავართ, პროტოპოპოვი.

— დაბძანდით, პროტოპოპოვი.

— ვისთვის? ხალხის გულისხმის, თუ ნიკო-

ლოზ მეორესთვის?

— ბევრს ნუ მიედ-მოედები. ჯერ მარჯვნივ გაუზიერ, მერე მარცხნით. იქ გაჩენებენ.

ვხედავ, ყველა ჩვენები აქ შეუკრძბიათ. ძალიან გამიხარდა. სამწუხაროა, სათამაშო კარტი თან არ წამოვიდე. ვითამაშებდით.

საიდუმლოთ მოველაპარაკე კერძნსკის. მოვუ- შევი სად არის დამალული ტყვიის მფრქველები. რა ჯურის კაცია ღლნაგაც არ გაიღია. გამომშევიდობის დროს ხელი გავუწიო. ის ძალიან ელამი უნდა იყოს. ჩემი ხელი ვერ შეამჩნია, შემხედა მხოლოდ, გა- ბრუნდა, ზურავი შემომატებია და გავიდა. ალბათ ვერ დაინახა ჩემი გაწვდილი ხელი.

დღიურის უკანასკნელ გვერდზე, ასანთის ნახ- შირით არის მიწერილი:

— „ამხანაგო ჯარის კაცო: თამბაქო ხომ არა გაქცეს? მე საერთოდ ხალხისკნა ვარ“.

თარგ. დ. ჩ—სა.

ს პ ა მ ბ ს მ

(აფიშების გამკერელის მოგონება)

ამხანაგებით და მოქალაქენო დღეს პირველი მაისია. გვემით, პირველი მაისი! დღეს ჩვენი სლო- ბილის დღეობაა. ისე უნდა ვიქეიფოთ, რომ სულ ქუდი ქერძი ვკრათ. იცით ეხლა მე ვინა ვარ? ის ჩანჩურა ავეტიქა არ ვეგონოთ აქამდინ რომ გარა- დოვების შიშით წელკავიან ძაღლივით ვიყავი მო- კუნტული და კუდ გაცემლეფილი ვირთაგასავით სოროში ქენდა ცხირი ჩარჭობილი ეხლა მე, სიმაღლეშიაც გაწეული ვარ და სიგანგიაც! ვა, რას ამბობ კაცო, გავაწევი რომელია! მე რომ იმ ჯანდარ-პრისტაფა-კალონშიკ-გოროდოვების ონები მამაგონდება პრიდალგავატი მოზგის უდარი მომდის უფლის მაღლმა!

გუშინწინ სიზმარში ვნახე ჯანდრის პოლკო- ნიკი და შიშით თმები ისე წამიაშალნენ და სიმირა- ში დადგნენ, რომ გეგონებოდათ ტრიოხლინეინი ვინტოვკის შტიკებიათ!

არა, პირველ მაისობის დამწეს რომ მომადგე- ბოდნენ ხოლმე კარზე ჯანდრები და კარგი ძმაბი-

შებივით მომიკაუნებდნენ: „ავეტიქ, ატკროი დვე- რი!“-თ ისე არხეინათ და უსირცხვილოთ მოდიოდ- ნენ, თითქოს პეჩატი, პრიგლაშიტელნი ბარათები- თა მყოლოდნენ დაბატივებული!

ერთ ღამეს იმ ურწმუნოებმა ისეთი ელდა მკრეს, რომ მაშინდელი შიშით გათეთრებული თმა- წვერი დღესაც ვერ მოვაქრისტიან! ხან ზაგრანიჩ- ნი მაზი ვახმარე, ხან პერვი სორტის ვაქსი ვისვი, ჰაგრამ მაინც ვერ გავაშვევი მოდი და ნუ შაგემნ- დება! მამიკაუნენ ერთ ღამეს კარები და მეც მა- მენტალნათ წამოვარდი. ეს არის კარები უნდა გა- უღო რომ სტოლზე წითელი პრაკლამაციები დაიი- ნიხე! პრაკლამაციათ!!! იქვე ჩივიეცე და ის იყო კიდევაც გაუკეთებდი ვიზიტს მამაჩემ ტიგრანას სა- იქიოს, რომ ჩემი დედაკაცი არ წამოვარდნილიყო. ხელათ მასხურა ცივი წყალი, შუბლზე ხელები გა- დამის-გადმიმისო და მამასულიერა კაცი. ვა, რა- ზორბათ მაიქცა, რა ქალობა გამოიჩინა იმ არამზა- დამ ისან! თველის დასხმასმებაზე ჩაიცო ტანისმოსი, ის პრაკლამაციები წინ გრულში ჩილაგა და ისე არხეინათ დადგა, თითქოს აქ არაფერია! ეს საქ- მე რომ მოვაჭახრაკე ავდექი და ხელათ გაუღო კა- რები. შამოცვივლნენ ის ზეგრინცის მგლები და და- უწყეს სახლს გადმობრუნება! მე და ჩემი დედაკაცი სმირნაში ვდგევართ. უყურებ ამ დედაკაცს და რა- ღაცა არ მეტშინიკება, რაღაცა შიში მეპარება თან და თან. კაცო, ამ პირადლს ისე პადაზრიტელნა- თა აქვს ეს გრული გამობერილი, რომ გეგონება თელეთის გუშბათიალი გაწერითილ-გაცვეთილი ჯან- დარი კი არა, ყველა დოკუმენტი ზატყობს, რომ ის ნასტაიაშჩი გრული არ არის. დედაკაცი ჯვარის მამის ლავაშივით გაპრეცელებულია, ფეხები დიმბლი- პიტოს ჯობებივით გასწერილებია და გრული კი მა- ისის ბუღას მიუვაგს! მე რა მომწონა ეს ჩვენი შტეკა და მაინც კატასვით გავნაბე სული და ვი- ფიქრე იქნება გადავრჩე შეთქი, მაგრამ ბანჩუნეს! ისე უსვინდისოთ დაუწყეს ჩხრეკა, ისე უნამუსოთ აუს- ჩაუსვეს ხელი იმ ჩემ სიბატვენი დედაკაცს, რომ თითქოს ჯვარი იმათ დაეწეროთ კეიეზე და მე ისე ტირაცუათა ვყოფილიყავი ქორწილში კაცო, ერ- თიბეჭო ხათრი არ შამინახეს ამ ურჯულოებმა რაც უნდა იყოს ქმარი ვარ, ვირის თავი ხომ არა ვარ, რომ ჩემ ვარდს სხვა სწყვეტდეს და მე დოკუმენტი- საეით პირი დავაღო და უყურო! ჭიჭნაზე ესკდები

კაცი, საფეთქლები ხალიანის ტარაღანის ლიაუზები-
ვით მებერება, მაგრამ რომ მაწიეს კეკეს გრუდმ-
ლინ, მაშინ კი ვირის აფლმა დამასხა და ვიყვირე;
გასპალინ ჯანდარ, ვი ნე იმეიშ პრავა ბეჭ მოი რა-
რეშენია ასმატრიტ მოა ენი გრუდ მეთქი, მაგრამ
ვინ დაგიჯერა! ჩაუყვეს ხელი და ამააცალეს წითელი
წითელი პრაკლამაციები. დავინახე თუ არა, მაშინვე
გავშეშლი კაცი! წამივიდა ფერი და ისე გავყვითლდა,
როგორც მწივე პანტა ვიცი რაღა რომ გამაპრავა-
ჟარებენ მეტების აღმართისაკენ, მაგრამ რას ვიზა!
„ოჂ, ეს კარგი ტიპოგრაფია გქინიაო!“ მითხრა
ჯანდრის პრაკლამინიმა, დაუშეკო სინჯვა პრაკლამა-
ციებს. სინ ჯავს, მაგრამ მე სული ფჩხილებში მეპა-
რება შიშთ. ამ ცეცხლის აღში ვარ გახვეული,
რომ ერთბაშათ გაყურა ამ ჩემ უუმურ პოლკონის
და ეს პრაკლამაციები სულ ერთიან თავში მათაყა-
რა. დაწყეს ყველამ სიცილი, გატრიალდნენ, და
წავიდნენ. მამაჩემი ტიგრანა რომ ამდგარიყო საფ-
ლავიდან ისე არ გამიხარებოდა, როგორც იმათი
წასვლა! ვიფიქრე: ამოტოლა პრაკლამაციები მი-
პოვნეს და რატომ არესტურის არ მიშერებიან მეთ-
ქი! ალბათ ჩეტენი ჯანდარი თუ არის მეთქი, ან არა
და კეკეს ხელის ასმა-ჩასმაში თუ გამიქვითეს მეთქი.
დავაკირდი ამ ქაღალდებს, გადავშინჯ-გაღმოვშინ-
ჯე და პოლკონიკე უარესი სიცილე მე წამსქდა!
რა პრაკლამაცია, რის პრაკლამაცია! თურმე უცებ
ისე შავშინებულვართ მეცა და ჩემი დედაცაციც,
რომ სტოლზე დაწყობილ-გასაკრავი პრაკექტორის
აფიშები ჩენ პრაკლამაციათ მოვარევნებია. ბერი
ვიცინეთ მე და ჩემმა დედაცარმა, მაგრამ რას იზამ,
შემმა ბევრი რამ იცის! იმათ შეშინებულმა მეორე
დღესაც ვეძარ გავბედე აფიშების გაკვრა და ხაზე-
ნმა ადგილიდან დამითხოვა. აი, ასეთი ონები მახ-
სოვს იმ განსვენებულ ჯანდარ-პრისტავებისაგან. არა,
ძალიან ფინთათ კი მოვტყუვდი მაშინ! დღევანდ-
ლამდის სირცხვილით არავისათვის არ მითქმდს, მაგ-
რამ დღეს კი, რადგან სლაბორნობას მოვესწარით,
ამიტომ ატერავენათ ვაშმობ. დეე, ვისაც გაეცინე-
ბა ამ ჩემ იონზე, იცინოს. დღეს ისეთი დღეა რომ
ყველამ უნდა ვიცინოთ და ვიმხიარულოთ.

მუშებოჯან, გენაცვალეთ,
ფპრაზნიკოთ პერვი მაი,
ჩენ ვილხინოთ, ვიქეიფოთ,
მტერს ვაძახოთ: „ვაი, ვაი!“ *)

ახლა იმათ ივაგლახონ,
ეყოთ რაც რომ გვჩხირიკეს, გვქექეს,
ეყოთ რაც რომ უცაცუნეს,
ბროლის მეტრდზე ჩემსა კეკეს!

აი გიდი, ჩემ დედაცაც,
ცივ ნიავს არ ვაკრებდი,
იმ შეითანს კუკლასვით
ხელის გულით ვატარებდი.

ჩემს გუგონას უხაუორათ
გამოუჩნდა ჯანდარ შპიკი,
კრინტს ვერ ვძრიადი, ცხვირს წინ მედგა,
სალდაოთ და მისი შტრიკი!

მაგრამ ჩარხი შატრიალდა,
სალდაოთმაც სცნო თვისი მოქმედი,
მტარალებს რომ უქნა განი,
ამის გახლით ყველა მოწერე.

ვიქეიფოთ, მოვილხინოთ,
ეს დღე დიდი არის ჩევეთების,
ჩენი ქმობა და ერთობა
ლახვარია ჩენი მტრისთვის.

ძირს ნიკოლოზ გაიძერა,
ძირს მთავრობა: უშნო, დუნე,
ძირს ჯანდარი სისხლის მსმელი,
ჩემი კეკეს მოცაცუნე!

შუშებოჯან, გენაცვალეთ,
ვიპრაზნიკოთ პერვი მაი,
ჩენ ვილხინოთ, ვიქეიფოთ,
მტერს ვაძახოთ: „ვაი, ვაი!“ *)

გომია.

*) უღვინოთ რომ ქეიფობა,
უშნო არის, ყველა იტყვის,
მუშის საბჭომ დღეს კი უნდა
მოგეცის ნება ღვინის ყიდვის.
გამშრალ კუმებს დასაველებთ,
ყლაბას დიდს არ გავაგძელებთ,
ჩენი სლოვა მუშის საბჭოს
სულ პირველთ ვაღიანდელებთ.

გ—ა.

პატარა ფელეტონი.

გაზაფხულდა შექმისა ტყე და ველი,
მთებს უმღერის ტყბილის ხმებით სიო ნელი,
შეე იცინის... შაშვიაც დაიკრიმინქულა,
შეხე თამროს, როგორ ჭიბუტათ მოქამშულა!..
სატრაფოს ელის და კისკისებს: ხა, ხა, ხა, ხა!..
რას ველისე!!.. ჩემმა თვალმა ეს რა ნახა!!..
რა დრო დადგა, მეყდრები ადსდგა, გაიხარეთ!..
ჰეათ ძენკალებს! ყველის ყველგან, შინ და გარეთ!..
— დიახ, დიახ, ძილისანაშ უთხრა მაროს,—
ჩემი ქმარი? უი, ღმერთმა დაიწაროს!!..
უნდა ნახო რომ შეხტები ტრიბუნაზე,
დაჭრილივით ღრიალს მორთავს ბოხო ხმაზე...
გაიძახის: ტილო... ტილო... უხურს ტენი...
ენაზე აქცს: დე-ლუ-ფა-ლი!.. რა-ს-ჭუ-ტი-ნი!..
(თვალს ვერ მოჰკრავ ჩაფი წყალის დალევაზე)..
ილანძლება მინისტრების მთავრობაზე!..
— მინისტრები? ხალხის ასეთ შეკითხვაზე,—
გაჯავრდება; „ნუ თუ კიდევ მეტითხებით
და არ იცით... მეფე თვითონ იმ ვიზონებით
სოროებში ბჟიობენ თავისუფლებაზე?!”
ეჭ, ვინ მოსთვლის ჩემმი დაო, იქ რაც ითქმის,
რომ მოგიყვე, ერთი დღეც კი უნდა თითქმის,
გაათავა ჩემმა ქმარშა სიტყვა თვარა,—
ხალხმა „ურაა!“ სულ კოხივით დააყარა!..
შეხე, შეხე, აგრ მოდის ჩენი ნატო,
— გენაცვალე, რაღ წმინდევლ ასე მარტო?
ვერ იშოვვე კავალერი? სად გაყავ ქმარი?
— ნუ მაბრაზებ!.. იგი ჩემი ალარ არი!..
დილას მიღის... შვალაშეზე მოდის მევდარი...
— რა ცუდია ეს ამბავი!.. საცოდავა!!..
— ხო, ვერც ძილში ვერ ისვენებს ეს ბედშავი
და აბილებს: კონსტანტინე ერისთავი!..
— იცი ბერა, რა უქნით იმ ჩენენ ვაჟებს?
დარევიან გურიაში შპილნაშებს
და მირეკნ ისე, როგორც ჯოგის თხებსა
— ძილიხანო, რა მითხმი ბერა ესა?!.
— დიახ, დიახ, ერთმა კბილიც გაილესა
დაქირვის ღრიას...
— ეს რომელმა?
— ვერლმა! ნიკოკიამ!..
— ხერელში ძრომა რომ იცოდა როგორც ტრიაშ?
— დიახ, დიახ, მასთან კიდევ დიმიტრია...
ვინ მოვთვალო?.. როგორც კალო, ერთად ჰყრია!..

— ხო, მეც ვიცი ეს დიმიტრია... სახელ შვი...
ერთხელ ჩვენში სახლებს, რომ დაუწყო წვა!..
და ბენის ციმბირისკნ უკრა თავი!..
— დიახ, დიახ, ვის არ ახსოეს დაო ესა!..
თუ დამიცდი, კიდევ გეტუვი უკეთესა!..
— ბათუმლების იცი რამე?
— არა სძინავთ დღე და ღამე, —
დღეს მოვიდა ჩვენი ნუცი,
არის თურმე ფაცა-ფუცი!..
სტანციაზე გახსოვს ჯანდრის პომპოლიკი?
ხალხს რომ კბენდა წარა-მარა, როგორც ბზიკი?
თურმე მასაც ატკუცის კუდის რიკი!..
— გენაცვალე, რა მიამე დაო ესა!
— თუ დამიცო, კიდევ გეტუვი სხვა რამესა.
ნუცამ მითხრა, — აღვენენ ქალთა „წრესა“
(იყო კრება... იმისთანა შენსა მტერსა)!..
მოცუნულდა თურმე ვიღაც კარბელავა
და ესფერო ძეველ ნაცოდვილარს... ეხლა ჰყავა!..
... აღარ გავა!!..
— იცი ქალო! ეხლა მითხარ „კამპერანტი“?
— გეტუვი, მარა ნუ გამამხელ თუ გწამს ხატი!
ამსებულა შეგნით: მართა, მაკო, ფატი...
ყველა ნაზი, ყველა კოხტა, ყველა ფრანტი...
ია-ვარდი, ყვავილები, განზე ქუდი...
შუზე ვაჟი ფრიად დიღი დანაყუდი!..
არშიყობა, ტრფობა, გრძნობა, გულის ძეგრა...
ასეთია დაო თურმე საქმის მხერა.
ეჯიბრება მართას მართ, მაროს ფატი,
ია-ვარდი, ხელში ტროსტი, განზე ქუდი
დროს ატარებს შუზე ვაჟი დანაყუდი!..
— რა კარგია დაო ესა!..
გეტუვი კიდევ სხვა რამესა?
— ბევრს! მარა, ეხლა ქმარა!..
გეჩერება ნამეტარი
იქნებ იგი შენი ქმარი,
ტრიბუნიდან ნერწყვ გამშრალი
სახლში გლია ცოცხალ-მკვდარი
და კვლავ ბოდას: ტილო... ტვინი...
დედუფლა!.. რაბუტრინი!..
ნიკოლოზი!.. მინასტრები!..
ვანო!.. კოსტა ერისთავი!..
ნიკოკია... ხერელში ტრია...
დიმიტრელა... და ეს ყველა
მანენ სულნი ბნელში ჰყრია!..
ხა, ხა, ხა, ხა, რა კარგია ეს ამბავი გასწი მალე.
შენ ქმარს თავი შეუკონე გენაცვალე
და რაც დაგვრჩა უსათუოდ გეტუვი მალე!..
წაფელა.

მხდალთათვის

(თარგმანი)

დიახ, სწორეთ ის არის დამახასიათებელი ამ დიადი წლისათვის, რომ მან არ იცის შებრალება. რატომ?

იმიტომ, რომ ეს არის დიდი რევოლუციონური წელიწადი!

რევოლუციას ერთი სერიოზული მტერი ყავს — ძეელი, დახავსებული წესწყობილება. რევოლუცია მას უნდა მოეცყრას შეუბრალებლათ, ისე, როგორც ქირურგი არ იბრალებს დაჩირქებულ, დაბჟალ ნაწილს აღამიანის სხეულისას.

რევოლუცია მეფის გადაგდებით სპობს სამეფო ძალა-უფლებას, არისტოკრატიის დამხობით სასიკვდილო მახვილს სცემს თავად-აზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებს, პლიტიის განადგურებით ასამარებს დესპოტიზმს, ცრუმისტმენების განივებით საფუძველს უშლის ბერ-მონაზონთ და ხუცებს, ძეელი რევიმის ჯალათ მსაჯულების გადაყენებით და დატუქსით ასამარებს უსამართლობას და თვითნებობას. ერთი სიტყვით, რევოლუცია სპიბს და ანადგურებს ყოველივე მას, რასაც თვითნებობისა და ძალიმორჩობის დაღი აზის.

ეს ოპერაცია რთული და საფრთხილოა, მაგრამ რევოლუცია მას აწარმოებს გამოცდილი და მარჯვე ხელით.

რაც შეხება ოპერაციის დროს დანაკარგ ცოცხალი ხორცის რაოდენობას ამის შესახებ ჰქითხეთ ქირურგის: განა შეიძლება დაჩირქებული იარის ისე ამოთლა, რომ სისხლი არ დაიღვაროს?

ქირურგი ხშირად წაგადეს ყაბაბს, ხოლო ექიმი ჯალათს. რევოლუცია ასახჩრებს სხეულს, მაგრამ სამაგიეროთ სიცოცხლეს ანიჭებს მას.

ნუ თუ თქვენ მოიხოვთ მისგან, რომ ფთხილოთ მოეცყრას დამბალ იარას და შეგ ბალლამის ბუდე ამოუგდებელი დასტროფოს?

რევოლუცია ლრმა ჭრილობას აძლევს ციფილიზაციას, მაგრამ ეს ჭრილობა ანიჭებს სიცოცხლეს მთელ კაცობრიბობას.

თქვენ ტკივილსა გრძნობთ? რა ვუყოო მერე? რამდენ ხანს გასტანს ეს ტკივილი? იმდენ ხანს, სანამ ოპერაცია არ დასრულდება.

მაგრამ, სამიგიეროთ, თქვენ სიცოცხლე მოგზიქებათ.

რევოლუცია მძიმე ოპერაციას უკეთებს ძეელ წესწყობილებას. ეს ოპერაცია სისხლის დაუღვრესათ წარმოუდგენელია.

გიქორო ჰიტო

ღია წერილი

(პირველ ნაწილის ბოქაულს კარტასეფის და ბათუმის მაძებარ პოლიციის უფროსს.)

ვსტირი, რა ვქნა, ვის გავეცნო,
აწ მე თქვენებრ კოხტა ბიქებს...

რესტრორან-კაბინეტებში,
აწ მე ვინდა დამპატიურებს?

აწ ვინ უნდა შემთავაზოს
შამპანსკისა ტკბილი ღვინო...

თქვენებრ ზორბა ფულიანთან,
აწ ვიდასთან მოგილხანო?

ამდენ ჯავრს და ღამურებას
ვით გაუძლოს ჩემშ გულმა,

ღამით როგორ დავიძინო
კოზინეტებს დაჩვეულმა.

აწ მშეიდობით ღროს ტარებავ,
ბაბანიოუკამუეტებო;

სიტებოება რათ მომისპერ,
ოხ თქვენ სოციალისტებო.

როგორ ჩუმათ გაიპარენ...

ასე იზამს მხოლოდ ხამი,
თითქო სხვას კი არ აეღოს

ნაჩალნიქს და პრისტავს ქრთამი.

ქრთამის შიშით განა კაცი
ბათუმიდან გაიქცევა!?

ვინც რუსეთში ქრთამს ქრთამს იღებდა
რა ციხეშიც დატებავა?

აფსუს თქვენო სილამაზე, —
ფული, ჩინი, დამბაჩ ხმალი

სხვას იშერდით, დღეს თვით შიშიბი
როგორ წარდა სამართალი..

მითხრეს თითქო თქვენ ჩაგიცამთ
კაზაკისა ტანსაცმელი,


და თფილისში დასიერნობათ
გაქვთ სხვა გვარი, სხვა სახელი.

გულით მინდა განუგეშოთ,
არ მოგშორდე თქვენთან ვიყო,

თქვენი ნახვის მონატრული
სა—ლი თამარიკო.

ისკანდერ.

ე რ თ ი გ ა თ გ ა ნ ი *)



მ ა მ ტ ლ ი ნ გ ი -

ქართველი მღვდელი

შომიწოდებენ ბრძოლად ერისთვის
გული მიმერჩის კარიერისოფის.

) ძნელი გასაგებია, ჭიუ რით ხელმძღვანელობდა პატივცეული ცენზორ მთავრობის დებულებები. როდესაც ამ სურათს ყელას სჭრიდა. ჩვენის აზრით მას ამოქმედებდა გრძელი „ღვთის-მოყვარულობისა“ და „ეშმაკის მოძულებისა“. საჭიროა იგრეთვე აღინიშნოს, რომ „ეშმაკის მათრახის“ რედაქტირა შოლოლ თითოჯერ დასჭირდა სარგებლობა „ყოვლად სამღვდელო ლეონიდეთი“ და ყოვლად სამღვდელო პიროს ალავერდელით) მაგრამ ბ-ნმა ცენზორ მთავრობაქმ მაშნაც წაგვიაშალა ეგ სამ სამი სრულიად უმანკო და საცენზურო სიტყვები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საიქიოს მოჰკითხვენ ცენზორს ამის პაუსს, მაგრამ საჭირო იყო საიქიოსაც გაგვევო მცირე რამ.

*) საჯაროთ ვაცხადებთ, რომ „ალავერდი“ ჩვენ არ გვიხმარია ტოლუმშაბაზური განზრახვით.

რედაქტორი თ. ბოლქვაძე. სტამბა ვ. რუხაძისა, გამაფის შესახვ. № 1.